URL: http://urakparaki.com/?m=4&ID=94757

ავტორი: ბავშვი შორეულ დაბიდან
ჟანრი: პოეზია
გამოქვეყნების დრო: 2016-10-03 00:04:42

ს+ნ=შ

დიდი ქალაქის
აბლავლებულ ავტოსტრადებში,
პირველყოფილი სიჩუმის და სიმშვიდის აქეთ,
ოცდაათი და
კიდევ მეტი წელიწადია,
დაძინების წინ საკუთარ თავს
ვპირდები ხოლმე,
წაგიყვან-მეთქი
საძმერხლიას დაბურულ ტყეში
და იმ გიგანტურ წიფელს გაჩვენებ,
რომლის ქერეჭზე
წვერმოკაკულ, ბასრი ჯაყვათი,
სულის შებერვით ამოვკვეთე ინიციალები:
ს+ნ=შ

დრო ულმობელი
ღერღილივით ფქვავს დაპირებებს

ან მე,
სამოცში გადამდგარი, ვატყუებ სანდრო,
თხუთმეტიოდე წლის სანდროუკას
ან
ჩემი ცოდვით სავსე სიბერე.

მიდის,
გრძელდება უსაშველოდ
და იწელება,
მთის ჩიტთა ბარად კვდომების ჟამი.